



გაზეთი გაეშალა  
1930 წლის 5  
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

# მაცნე

## სამსრულის

N1 (9181)

12 იანვარი, 2016 წელი


ფასი 50 თეთრი

5

გათომბილი ჟურნალის „სწორი“ მოსვლიდან



4



2016  
წლის  
ხაზგას  
წესი

3

ოპოზიციამ 2016 წლის სამოქმედო პროგრამა დაიწყო



8

“გუგუნი  
გარდაუდებული  
და გუნდური  
კუთხეა”

3

რეგიონალური  
რეგისტრაციის  
შედეგად

საქართველოს  
გარე ურთიერთ  
ობიექტი  
ბიუჯეტი

2



მეტი ხა, ხომ ზამთარია,  
ჩვენ უფრო ვართ მოთვალნი...

სადაცაც ვართ  
სადაცაც ვართ  
პროცესი 25 იანვარს  
განხორციელდება

თბა გავსენაშვილი

საკრებულოს გასული წლის ბოლო სხდომაზე, მომავალი წლის ბიუჯეტი რომ განიხილეს, საანგარიშო სიტყვით მუნიციპალიტეტის გამგებელი წარსდგა აუდიტორიის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის მოთხოვნის საფუძველზე საკრებულოს სხდომაზე მისი დაუსწრებლობა საუბრის ხმაურთან თემა მთელი წელი იყო, შელაპარაკების შემდეგ დარბაზი ჯერ ოპოზიციის ლიდერმა ემზარ შუბლაძემ, შემდეგ კი მამუკა ბიბილეიშვილმა დატოვა. ემზარ შუბლაძის გადაზიდვით ვალერი ფოცხვერიას რეპლიკამ, "მთელი სხდომის მანძილზე მე ვისმენდი, ახლა ვსაუბრობ და კითხვები მერე დასვით", გამოიწვია. მამუკა ბიბილეიშვილთან შეპასუხებისას კი გამგებელმა ასეთი ფრაზაც წარმოიტყვა: "მე ისე არ წავაღ როგორც თქვენ, როგორი გაპლეკვილიც მოვედი, ისე გაპლეკვილი მივიდვარ!"

სხდომის პათოსი უკვე მისახვედრია მკითხველისთვის. ხმაურიც არ გახლდათ გასაკვირი მისი მიმდინარეობის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის იმაზე გაცილებით წინარად წარიმართა, ვიდრე მოლოდინი გვქონდა. ერთმანეთს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული კომისიის თავმჯდომარე ბადრი შენგელია და მამუკა ბიბილეიშვილიც შეელაპარაკნენ. თემა სპორტსმენების დაფინანსება გახლდათ. ერთი სიტყვით, არც ენაკვიმატობა აკლდა საკრებულოს გასული წლის ბოლო სხდომას და არც ძველის, ახლის და მიცემული დაპირებების გარჩევა, ანუ ლეპუტატები "ფორმაში" იყვნენ!

მნიშვნელოვანი კი ის გახლდათ, რომ მომავალი წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტი, ბიუჯეტის პროექტი დამტკიცდა. იგი ერთხელ დაუბრუნა საკრებულომ გამგებანს გარკვეული შენიშვნებით. ამჯერად მისი განახლებული ვარიანტი მისაღები აღმოჩნდა საკრებულოს

# სხდომის გასახეობი პათოსი ბილბუდი ბიუჯეტი

უმრავლესობისთვის, უმცირესობა კი, როგორც ყოველთვის, მათი შენიშვნების გაუთვალისწინებლობაზე სწუხდა.

რაც შეეხება უშუალოდ ბიუჯეტს, 2016 წლისთვის იგი 9 944 200 ათასი ლარით დაიდგა. გასული წლის რაოდენობას 751 ათასით გადაჭარბა. შარშანდელი ბიუჯეტი, რომელიც წლის დასაწყისში 9 225 700 ლარი იყო, ხოლო წლის ბოლოსთვის 14 765 200 ლარი

შეადგინა. 2015 წლის ნომბრის მონაცემებით 102% შესრულდა. სხვადასხვა პროგრამებითა და ადგილობრივი შემოსავლებით მისი ზრდა, რა თქმა უნდა, წელსაც იგეგმება. იგი სოციალურ სფეროზეა ორიენტირებული, რომლის დაფინანსებაც ამჯერად 61 ათასი ლარით გაიზარდა. აქედან, 30 ათასი ლარი წითელი ჯვრის ორგანიზაციაზე განსახლებული, რომელიც ახალი წლიდან დაარ-

სდება მუნიციპალიტეტში. სახელფასო განაკვეთის გაზრდის ბედნიერება, ჯერჯერობით მხოლოდ კომუნალურ სამსახურს ხვდა წილად. საგარეო, მიმდინარე წლის მანძილზე სახელფასო განაკვეთი გაიზარდა სხვა ააიპებსა და მშსებში, თუმცა ეს როგორც განიხილეს, ხარჯზე. ამ შემთხვევაში რეორგანიზაცია მონათესავე ააიპების გაერთიანებაში გამოიხატება.

## პირველი თოვლის გახნობა

თბა გავსენაშვილი

**უღამაშესი იყო სამტრედიის პირველი თოვლი არამარტო ბაგმეები გაახარა, დათოვლილ ზამთარს მონატრებულ უფროსებსაც არ "გაუპროტესტებიათ" გადაბუნტილი ქუჩები. პრობლემები, როგორც იცის ხოლმე, მერე დაიწყო. დღეს, როცა თოვლის ნატამალი აჯარ არის, ძნელია, დიდთოვლობა წარმოიდგინო თავისი სირთულეებით. ქალაქის თითქმის ვაკუალი ქუჩები, თოვლიანი ღამის შემდეგ, სამტრედიის რეალობა სულ ერთი კვირის წინ გახლდათ.**



როსები პრობლემის სწრაფად გადაწყვეტის გზებს ეძიებდნენ. რადგან მუნიციპალიტეტს საკმარისი რაოდენობით არ აქვს შესაბამისი ტექნიკა, მისი მოძიება გახდა საჭირო. რამდენიმე კერძო მფლობელთან ხელშეკრულება მალევე გაფორმდა და ტრაქტორები მუშაობდნენ კიდეც, მაგრამ მათი საკმარისი რაოდენობით არქონის გამო, საქმე სწრაფად ვერ მიდიოდა წინ.

თუმცა, იმ დღეს სამტრედიას იმერეთის გუბერნატორი ეწვია ენერჯეტის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილთან და მთავრობის ადმინისტრაციის რე-

გიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელ გიორგი ამაშუკელთან ერთად. შეხვედრას ენერჯეტოკომპანიის სამხარეო და ადგილობრივი წარმომადგენლობის ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში დიდთოვლობის გამო მკოორდინირებული შტაბები შეიქმნა მისი შედეგების დასარეგულირებლად. იმერეთში იგი სწორედ სამტრედიის იმუშავეს. დავალბა უშუალოდ პრემიერ-მინისტრისგან მიიღეს.

ტექნიკა ქუთაისიდან მიაშველა სამ-



ტრედიას გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ. იმ დღესვე გზებზე ტექნიკური მარილი დაიყარა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად გივი ჭიჭინაძემ, ილია ელოშვილმა და გიორგი ამაშუკელმა არამარტო ქალაქის, გაღმა ზონის, როგორც მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი ნაწილის სოფლების მონახულებაც გადაწყვიტეს, უშუალოდ მოსახლეობასთან მათ საჭიროებებზე სასაუბროდ.

სამტრედიის გარეუკული ზიანი იყო. სხვა დაზიანებებთან ერთად, თოვლიანი ღამის ქუჩაზე ერთი სახლის ნაწილიც კი ჩამოანგრია.

რამდენიმე დღე შეფერხებით მიეწოდებოდა ელექტროენერჯია ზოგიერთ

უბანს. ამინდის ამგვარ გაჯიუტებას მიუხედავად ქალაქი რამდენიმე დღით აფორიაქდა. პირველი თოვლის გადნობამდე დიდი დრო ნამდვილად არ გასულა. ასეც რომ ყოფილიყო, როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერი ფოცხვერია აცხადებდა, ყველაფერს აკეთებდნენ ტექნიკის მობილიზებისა და პრობლემების მოგვარებისთვის.

მართალია, უკვე მზემ გამოანათა სამტრედიის და დიდთოვლობას პირი არ უჩანს, მაგრამ ზამთარში ზამთრისგან სიურპრიზი არ უნდა იყოს ამინდის ჭირვეულობა. რომ "იკადროს" და, ადგილობრივი ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ მოსახლეობას პრობლემები არ შეექმნება.

## საბავშვო ბაღებში სააღმშენებლო პროცესი 25 იანვარს განახლება

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება 2016 წლის დასაწყისში მომწოდებლებთან კვების პროდუქტებზე ხელშეკრულებების გაფორმებით არის დაკავებული.

5 იანვარს ტენდერებში გამარჯვებულ 4-ვე მომწოდებელთან წლიური ხელშეკრულება დაიდო. იმ დღეს "სამტრედიის მაცნე" ხორცპროდუქტების მომწოდებელ შპს "კავკასიის" წარმომადგენლების სტუმრობას შეესწრო.

ცნობისათვის, შპს "კავკასიამ" სამტრედიის მუნიციპალიტეტში შარშან მდინარეების გაწმენდის სამუშაოები შეასრულა. ამჯერად, მან ტენდერი 4 პრედენდენტს მოუწოდა და სამტრედიის ბაგაბაღები 10 ლარისა და 89 თეთრის ღირებულების დარბილებული ხორციით უნდა მოამარაგოს.

საგარეოდ, სამტრედიის საბავშვო ბაღებში სააღმშენებლო პროცესი, თუ მეტეოროლოგიური პირობები არ გაუარესდა, 25 იანვრიდან დაიწყება.

2015 წლის 24 დეკემბერს 4 ტენდერი გამოცხადდა ხორცპროდუქტებზე, რძისა და რძის ნაწარმზე, ბოსტნეულის, ხილულის, ბურღულეულის და სხვადასხვა პროდუქტებსა და პურპროდუქტებზე. შპს "კავკასიის" გარდა გამარჯვებული არიან შპს "ბუკა - 2007" (სხვადასხვა პროდუქტების შესყიდვა), შპს "ლომი" (რძე და რძის ნაწარმი, ბოსტნეული, ბურღულეული).

ხათუნა ახობაძე, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი:

"გამოცხადებული ტენდერებიდან გამარჯვებული მომწოდებლები გამოვლინდა. ჩვენ მომწოდებლებთან უკვე შექმნილი ხელშეკრულებების გაფორმება. ამ ეტაპზე ყველა მათგანზე დადებითი შთაბეჭდილება შეგვექმნა. იმედია, ჩვენი თანამშრომლობა იქნება ნაყოფიერი. მინდა, ვთქვა, რომ 2015 წელი დაგამთავრეთ წარმატებულად და 2016 წელიც წარმატებული იქნება. იმედს ვიტოვებთ, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელობა გააგრძელებს ბაღებისადმი მზრუნველობას, რაც ძირითადად ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში გამოიხატება".

შარშან სკოლამდელ დაწესებულებებში სააღმშენებლო პროცესი 18 თებერვალს განახლდა. ამან მაშინ ბევრი უსაიმოვნო მითქმა-მოთქმა და ძირითადად მშობლების გაღიზიანება გამოიწვია. დაგვიანების მიზეზი შარშან ჩამოილი ტენდერები იყო, რომლის წინაშე წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტი აღარ დამდგარა. მსგავს პრეცედენტს ძველი თანამშრომლები წინა წლებშიც იხსენებენ.

ანალოგიურ სიტუაციაში ბაგა-ბაღები თენგიზ ლორიას დირექტორობის პერიოდშიც აღმოჩნდნენ.

**6067 ნახევარი**



## მეხე ხა, ხომ ზამთარია, ჩვენ ეხოდ ვახი მთავარია...

ეს სიტყვები გამახსენდა უნებლიედ, როცა 4 იანვარს მომავლის პარკში მხიარულად მოგუნდავე დედ-შვილს შევხვდი.

ლალი, სანდრო და საბა კოპალეიშვილები აღმოჩნდნენ ისინი. უხარიათ პატარებს, თოვლი, წინვა, სუსხი მათ არ აშინებთ და მხიარულად ატარებენ არდადეგებს.

ქალაქს კი, ქალაქს თეთრი საბურველი მოუსხამს და ისე "გვაწონებს თავს".

წინა წლებისგან განსხვავებით თოვლიანი თვე ნამდვილად დაგვამახსოვრდა, ჩვენმა აპარატმა კი სამტრედიის დათოვლილი ქუჩები აღბეჭდა.

ასეთი იყო 2016 წლის 4 იანვრის დღე სამტრედიის.

**ლევან ბაგრაძე**



# ოპოზიციამ 2016 წლის სამოქმედო პირობები დაინუნა

## 6060 ნაწილაკი

8 იანვარს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგისტრაციის განყოფილებაში გაიმართა დღის წესრიგში ერთადერთი საკითხი იყო წარმოდგენილი: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის № 23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სამოქმედო პროგრამის მოწონების შესახებ. მომხსენებელი გახლდათ საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შალვა არზუმანიანი.

მომხსენებელმა თავის გამოსვლაში ის პროექტები ჩამოთვალა, რომლებიც 2016 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში უნდა განხორციელდეს. ესენია: ევროს თემში, სოფელ კვიციანიდან სოფელ გვირგვინამდე მიმართულებით ევროს ცენტრალურ გზამდე საავტომობილო გზაზე ასფალტბეტონის საფარის დაგება, ღირებულებით 143750 ლარი. სოფელ დიდ ჯიხაში ე. წ. ყაზბეგის უბანში საავტომობილო გზაზე ასფალტბეტონის საფარის დაგება, ღირებულებით 100 000 ლარი. ღანიის თემის სოფელ ჭაბანში, ქუთაის-ზონი-სამტრედიის ავტომობილ-ტრალაიდან სოფლის ცენტრამდე და ღანიის თემში, სოფელ ღანიის საჯარო სკოლიდან სოფელ ჭაბანში ღვინის მარშრუტის სახელობის ტაძრის გავლით ე. წ. ოქონის სასაფლაომდე საავტომობილო გზაზე ასფალტბეტონის საფარის დაგება, ღირებულებით 388 500 ლარი. ნაბაკეის თემის სოფელ ჩხენიშა და სოფელ ნინუაუთხეში ე. წ. ნინუების უბანში საავტომობილო გზაზე ასფალტბეტონის საფარის დაგება, ღირებულებით 249 000 ლარი. სოფელ ბაშში ე. წ. ქვედა ბაშის სასაფლაოდან მგზავრთა მოსაცდელამდე ასფალტბეტონის დაგება ღირებულებით 149 997 ლარი. მელაურის თემში სოფელ მიწაბოგირაში საავტომობილო გზაზე ასფალტბეტონის საფარის დაგება, ღირებულებით 144 500 ლარი. დაბა კულაშში, რუსთაველის ქუჩაზე (9 აბრილის ქუჩის ბილიდან მგობრობის ქუჩამდე) ასფალტბეტონის საფარის დაგება, ღირებულებით 75534 ლარი. გომის თემის სოფელ კორძაბაში

სავტომობილო გზაზე ასფალტბეტონის საფარის დაგება, ღირებულებით 170 000 ლარი. ქალაქ სამტრედიის რესპუბლიკის ქუჩაზე, მე-3 საჯარო სკოლიდან “ვი-სოლის” ავტოგასამართ სადგურამდე, რესპუბლიკის მე-2 და მე-4 ჩიხებში, თაბუკაშვილისა და თავისუფლების ქუჩებზე ასფალტბეტონის საფარის დაგება, ღირებულებით 397 000 ლარი. ქალაქ სამტრედიის რეგიონული დასახლებებისა და რიონის ქუჩებზე ასფალტბეტონის საფარის დაგება, ღირებულებით 339 977 ლარი. ქალაქ სამტრედიის მარჯანიშვილის, ნინუას, ოდილაძის ქუჩებზე და ნიკურაძის ჩიხში ასფალტბეტონის საფარის დაგება, ღირებულებით 100 116 ლარი. ქალაქ სამტრედიის, ლეონიძის, კლავის და ფანჯივიძის ქუჩებზე ასფალტბეტონის საფარის დაგება, ღირებულებით 236 200 ლარი.

2016 წელს განსახორციელებულ პროექტებს მუნიციპალიტეტის საკრებულომ კენჭი უყარა და უმრავლესობის მხარდაჭერით დაამტკიცა.

ღანიის თემის მაჟორიტარმა გია ხაბიშვილმა თანასოფელთა სახელით მადლობა გადაუხადა კოლეგებს, ღანიის ჩასატარებელ სამუშაოებზე მხარდაჭერისათვის.

პროექტს მხარი დაუჭირა, თუმცა იქვე გულისწვევა გამოხატა იანუთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, პაატა კობრიძემ იმის გამო, რომ შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალი თავისი სოფელი ვერ ამოიკითხა: “როგორც თქვენთვის ცნობილია, რამდენიმე წელია, იანუთის ტერიტორიაზე მდინარე გუბისწყალსა და რიონზე ფუნქციონირებს 2 კარიერი. მოპოვებული ღირებულებები ავტობანის მშენებლობაზე. შესაბამისად საამშენებლო კომპანიები წიაღისეულის მოპოვების გადასახადს სამტრედიის ბიუჯეტში იხდიან. იანუთის კი ზარალის მეტი არაფერი რეგია ზემოაღნიშნულიდან.

ადიდებულმა მდინარემ ჰექტობით სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი მოგლიჯა და წაიღო. ზიანდება გზები მძიმეწონიანი ტექნიკის მოძრაობის გამო, საძოვრები და ა. შ. იმედს გამოთქვამ, რომ მუნიციპალური განვითარების ფონ

დიდან დაფინანსდება იანუთე გათვლილი პროექტი, რომელიც ვერ მოხვდა რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებაში”.

ფრაქცია “ნაციონალურმა მოძრაობამ” მხარი არ დაუჭირა 2016 წელს მუნიციპალიტეტში განსახორციელებულ პროექტებს. ამ ინიციატივით საკრებულოზე მამუკა ბიბილეიშვილი გამოვიდა: “მე და ჩემი ფრაქციის წევრები საკითხს მხარს არ ვუჭერთ იმის გამო, რომ განსახორციელებული პროექტების რაოდენობა შეადგენდა 3 200 000 ლარს და შემცირებულია 2 400 000 ლარამდე. შემცირება ნამდვილად არ არის მისაღები და მოსაწონი. გარანტიასაც ვერ გვაძლევს ხელისუფლება, რომ შემცირებული პროექტები გადაწარილდება სხვა ორგანიზაციებში. მიუხედავად იმისა, რომ არის ასეთი მოსაზრება, რომ შემცირებული პროექტები განხორციელდეს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან”.

მამუკა ბიბილეიშვილის საწინააღმდეგო აზრი საკრებულოს სხდომაზე გამოხატა იმედა გოგავამ. “რესპუბლიკელების” ლიდერის აზრით არავითარი შემცირება არ მომხდარა: “თავიდან ეს პროექტები გათვლილი იყო ორ მილიონნახევარზე. თუმცა, როგორც წესი, მთავრობა ითხოვს, მინიმუმ ნახევარი მილიონი ლარით მეტი პროექტის წარდგენას. ეს იმიტომ კეთდება, რომ რომელიმე პროექტის ამოვარდნის შემთხვევაში თანხა ჰაერში არ დარჩეს. ამდენად, დღეს საკრებულოს უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ზუსტად რეალურ ციფრს, რაც თავიდანვე იყო გათვლილი”.

იმედა გოგავამ საკრებულოს სხდომაზე პირველმა გააყენა დიდთოვლობით გამოწვეული პრობლემები, რომელსაც, გოგავას განმარტებით სამტრედიის მუნიციპალიტეტი გარკვეულწილად მოუმზადებელი შეხვდა: “მოვიდა თოვლი, რომელსაც ველოდით, თუმცა ვერ გავუშვავდით. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, არაფერს ვამბობ სოფლებზე, ელემენტარული გადაადგილება ჭირდა არა მარტო ფეხით მოსაარულეთათვის, არამედ ტექნიკურად გამართული ავტომანქანებისთვისაც. აბსოლუტურად გაუკავალავი იყო ცენტრალური ქუჩები, რამაც



ბევრი უსიამოვნო მომენტი და მოსახლეობის სამართლიანი გაღიზიანება გამოიწვია. ამას დაემატა უშუქობა, რამდენიმე საათიანი კი არა, მაგალითად, დაბა კულაში ძაბვის გარეშე თითქმის 2 დღე იყო. ამან დისკომფორტი შეუქმნა არა მარტო მოსახლეობას, ერთ-ერთი ყველ-

აზე მსხვილი ინვენსტიციის მქონე სამკურნალო ფაბრიკა პარალიზებული აღმოჩნდა. ვფიქრობ, რომ გამგეობა ამ ნეგატიური გაკვეთილიდან მეტ ჭკუას ისწავლის და ზამთარს, რომელიც გრძელდება, შედარებით მობილიზებული შეხვდება”.

# ჩემი ოქრო ჩემთან მოვა

## თბა გაზუნაწილი

...და ვერცხლიც! ნახალწლევს, ჯერ ისევ წინასწარმოდგენილი მუნიციპალიტეტის რესურსცენტრში წარჩინებული სწავლისთვის მედლით დასაჯილდოვებლები იყრიდნენ. ბევრი მათგანი უამინდობის გამო ვერ მოვიდა. ზოგიც უმაღლეს სასწავლებელში გახლდათ ლექციებზე. ერთი სიტყვით, მოსულელები ჯილდოდ, ოქროსა და ვერცხლის მედლები გადაეცათ. რესურსცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ელენე ბოხუამ უსურვა მათ, “ეს ჯილდო ყველაზე პატარა წარმატება ყოფილიყოს თქვენს ცხოვრებაში”-ო და მას გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი და კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე დაეთანხმნენ. დარბაზში იმ თაობის წარმომადგენლები სტარობდნენ, ვისთვისაც ოქროს მედალი გაცემით მწველად მოსაპოვებელი გახლდათ. ამას იხილი ერთმანეთს ეთანხმებოდნენ. ლიზა კრავეიშვილი აღნიშნავდა: “ეს ბავშვები, უფრო სწორად ეს თაობა, ძალიან კრეატიულია და მაოზროვნე თაობაა. ამით სჯობიან ისინი ჩემს და ჩემს შემდგომ თაობებს, მათ, ვისაც დღეს უფროსები ჰქვიათ. არც განათლება აკლიათ, არც მონდომება. უბრალოდ, ბუნებრივია, რომ მეტს მოვიტხოვთ მათგან. ნატალია მანჯგალაძე მოსწავლეობაში თავად ოქროს მედლით და-



ჯილდოვებული წარმატებული სწავლისთვის, ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ “ჩემი მოსწავლეობის დროს მედალი უფრო ძნელად მოსაპოვებელი იყო. მას პრივილეგიაც ჰქონდა უმაღლეს სასწავლებელში. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ახლა ნაკლებად ბევრით თაობა მოდის. პირაქით, ისინი სხვანაირად, უფრო პრაქტიკულად, რაციონალურად აზროვნებენ და არც ნიჭი თუ მონდომება აკლიათ”.

უკვე გასულ წელს სამტრედიას 45 მედალოსანი ჰყავს, ანუ კარგა ხანია დასრულდა დრო, როცა რაიონში სამი-ოთხი მედალოსანი თუ იყო მხოლოდ. 30 ოქრო და 15 ვერ-

ცხლი უკვე რაიონშია მფლობელებზე გადასაცემად. ყველაზე მეტი მედალი მე-11 საჯარო სკოლებს ერგოთ, 9 ოქრო და 2 ვერცხლი ამ სკოლის ანგარიშზეა. რაც შეეხება სოფლებს, დიდი ჯიხაშის 1-ლ საჯარო სკოლას 4 ოქროს და 1 ვერცხლის, ნოღის საჯარო სკოლას 1 ოქროს, იანუთის კი 2 ვერცხლის მედალოსანი მოსწავლე ჰყავთ. 2014-ში 25 ოქროსა და 11 ვერცხლის ადების შემდეგ, 2015-მა მედალოსნების მომატებული რაოდენობით დაიკვირნა. თუმცა, აქვე ისიც, რომ ამ 45-ში ეროვნულ გამოცდებზე ჩატარებული მედალოსნებიც მოიძებნებინა! ასეა თუ ისე, სამტრედიის მუნი-



ციპალიტეტს 2014-2015 სასწავლო წლებში 45 მედალოსნით შეუძლია თავმოწონება. მეთორმეტე საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა და გამგეობის საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა, სოფ-

იო კირთაძემ მიმართა მათ: “სიამაყის გრძობა მეუფლება და იმედით ვივსებთ, თქვენ რომ გვხვდეთ. ზოგიერთ თქვენგანს ვასწავლიდი, ზოგიც სხვადასხვა პროექტში იყო ჩართული, რომელთაც ვახორციელებდი. ხშირად მეხშიანებით და მადლობა თქვენ, რომ თავს მნიშვნელოვან ადამიანად მგრძობინებთ. მჯერა, თითოეული თქვენგანი იტყვის იმ მოქალაქეობრივ სიტყვას, რომელიც სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი იქნება”. სხვადასხვა სკოლის კურსდამთავრებულ მედალოს-





# მთაწითლანულობებით საჯსუ საჯამი

## ქათიპანე ქაქიქა

ის დღე, აღბათ, არასდროს დაავიწყდებათ სამტრედიალებს, მათ, ვისაც დღევანდელი დაუფასეს და იმთავითვე, ვინც იმ ორიგინალური ღონისძიების მოწყვეთა და მონაწილე იყო. მოულოდნელობებით საჯსუ საჯამი – შეიძლება ასე ვუწოდოთ “ბორა-ბორაში” გამართულ საჯსიმო შეხვედრას, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით გაიმართა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: “როდესაც სამსახურის უფროსად დაინიშნე, ასეთი ტრადიცია დამხვდა. ამას თუ იმ ასპარეზობაში გამარჯვებული სპორტსმენი წერდა განცხადებას და ფულად კომპენსაციას ითხოვდა. ეს ფორმა ჩემთვის მიუღებელი გახლდათ, მაგრამ იმ წელს ყველაფერი ძველებურად დარჩა. შემდეგ ააიპეტიან შეხვედრაზე დაკანონეს, რომ შეიქმნებოდა კომისია, რომელიც წარმატებულ სპორტსმენებს დაასახელებდა და შესაბამისად დააჯილდოებდა კიდევ”. – გვიყვება მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე.

2015 წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის წარმატებული მოქალაქეების დაჯილდოების მიზნით კომისია შეიქმნა, რომლის წევრები არიან: გამგებელი ვალერიანე ფოცხვერაძე, გამგებლის პირველი მოადგილე დავით ბახტაძე, მოადგილე ლიზა კრავიშვილი;



ბადრი შენგელაია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; ტარიელ დვალისხილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია “ქართული ოცნების” თავმჯდომარე; ალექსანდრე თევზაძე, სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი და ქალბატონი ნატალია მანჯგალაძე.

კომისიამ ორი კვირის მანძილზე იმუშავა შესაფერისი კანდიდატების გამოსავლენად. სია საკმაოდ გრძელი აღმოჩნდა, ამიტომ ბევრი იფიქრეს, იმსჯელებს და ფამათეს ობიექტური არჩევანის გასაკეთებლად. იმავე კომისიაზე წინადადება შეიტანეს სხვა სფეროს წარმომადგენლების დაჯილდოების შესახებ.

ამჯერად ნომინანტი ექიმი-პედიატრი ლიანა შენგელაია გახდა. გამგეობის კულტურის სამსახური მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან ერთად მთელი ძალებით ჩაერთო საქმეში, რათა ღონისძიება დაუვიწყარი გაეხდა მოწვეული საზოგადოებისათვის. სამტრედიას იმერეთის გუბერნატორი, გივი ჭიჭინაძე ვიცე-გუბერნატორებთან, პაატა ნადირაძესა და გიორგი ჭილაიასთან ერთად ეწვია. დარბაზში ლამაზად გაფორმებულ მაგიდებს წარმატებული ადამიანები უსხდნენ. აქვე იყვნენ პარლამენტარი გიორგი კახიანი, გამგებელი ვალერიანე ფოცხვერაძე თავის მოადგილეებთან, დავით ბახტაძესთან, ლიზა კრავიშვილთან და როსტომ თავაძესთან ერთად;

საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია და მისი მოადგილე კობა ძიძიგური; გამგეობისა და საკრებულოს წევრები. უფუნქციოდ არავინ დაუტოვებიათ, დაჯილდოების ცერემონიაში ყველა მონაწილეობდა.

პირველ რიგში, ვალერიანე ფოცხვერია დარბაზში შეკრებილთ მიესალმა. შემდგომი წარმატებები უსურვა მათ და იმედი დაიტოვა, 2015 წელთან შედარებით 2016 უკეთესი რომ იქნება. როგორც ივარაუდა, წინასახალწლო განწყობა მართლაც შექმნეს წამყვანებმა, კულტურის სამსახურის მუშაკებმა, ეკა კვიციანიშვილი და ნათია გოგობიძე. 50 წლიანი საქმიანობის მოღვაწეობა შეუქმნა პატარების ჯანმრთელობის სადარჯოზე მდგარ ქალბატონ ლიანას და ფულადი ჯილდოთი დააჯილდოვეს.

“ეს დღე დაუვიწყარი იქნება. ამაღნი ხანია, ექიმი ვარ და ასეთი ყურადღება ჩემს მიმართ არასდროს გამოუჩენიათ. მაღლობა ღონისძიების ორგანიზატორებს”. – განაცხადა მან ჩვენთან საუბარში.

გომის საჯარო სკოლის პედაგოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 2008 წელს საქართველოს პრეზიდენტის სტაჟენდიანტი ვალერიანე თევზაძე ღონისძიების ყველაზე უხუცესი სტუმარი იყო წარმატებულ ადამიანებს შორის.

სამტრედიაზე უსაზღვროდ შეყვარებული კომპოზიტორი ქალბატონი, მზია ჯინჭველაშვილიც გამოარჩიეს და მაღლობა უთხრეს ლამაზი და ნაყოფიერი შემოქმედებისათვის.

მოულოდნელი იყო “სამტრედიის მაცნეს” მხატვარ-კარიკატურისტისთვის, შოთა პაპავასთვის, როცა დასაჯილდოებულთა სიაში მისი გვარიც ამოვიტხეს. წილად ხვდა პატივი, ფულადი ჯილდო და მილოცვა გუბერნატორისგან პირადად მიეღო. თქვენს იმედებს გაეპართლებო, შოთამ და ახალი წლის ზღურბლზე შობა-ახალი წელი ყველას მიულოცა.

სამტრედიის თეატრალური წარსული მოკლე მითხიხილა ეკა კვიციანიშვილმა. როგორც წამყვანმა და დარგის სპეციალისტმა მაღლობა გადაუხადა ადგილობრივ ხელისუფლებას, რეჟისორების, ლორიტა ჯორჯიასა და ვეფხია ნადირაძის დაჯილდოების გამო. განმარტა, რომ ამ სფეროში ასეთი რამ 20 წლის მანძილზე პირველად ხდებოდა.

“სასიამოვნოდ გაცეცხული ვარ. მიუხედავად იმისა, რომ 40 წელზე ცოტა მეტია, სცენაზე ვარ, ასეთი რამ პირველია. ეს ძალიან დიდი დაფასება, პატივისცემა და აღიარებაა. ჩემთვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანია. ძალიან გახარებული ვარ. რა თქმა უნდა, აქამდეც ვმუშაობდი, მაგრამ როცა გცნობენ და შრომას ფიფასებენ, მეტი სტიმული გეძლევა. აღბათ, ამიერიდან გაყინული სცენაც თბილი იქნება.”

“ბედნიერი ვარ არა მარტო ჩემი, არამედ ლორიტას, მზიას და ამ ხალხის დაჯილდოებით. დარწმუნებული ვარ, 2016 წელს დასაჯილდოებულნი მეტი ვიქნებით. მიხარია, რომ ამდენი გამოჩენილი ადამიანი გვყავს. ღმერთმა გვიმარაგოს!” – ეს ბატონი ვეფხ-


ია ნადირაძეა, რომელმაც ღონისძიების დასასრულს ჩვეული მხატვრული ლექსიც წაიკითხა.

მაღლიერების ლექსით გამოხატვის სურვილი ყველაზე ასაკოვან მოქმედ სპორტსმენს, პავლე კაპანაძესაც გაუჩნდა. საცხენოსნო კლუბის დირექტორი, ბატონი პავლე, წლებია, ტრ-



ადიციების ერთგულებით უძღვება საკუთარ საქმეს და საცხენოსნო სპორტის სიყვარულს თაობებს გადასცემს.

დაჯილდოების ცერემონიალს უფრო დაუვიწყარს ხდიდა კარგად შერჩეული საკონცერტო ნომრები. არანაკლები ტაშითა და ოვაციით შეხვდა მსმენელი ანა აბზიანიძეს, ვაჟთა კვარტეტს, ნათია დოლიძეს, ირმა ადამიას, ტაბა გოგუაძეს, ნინა ჭახნავიას. საინტერესოდ წარსდგნენ ქორეოგრაფიული ანსამბლები: “ლილე”, “სამტრედია” და “ფანტაზია”. აღტაცებას იწვევდა ქრისტინე ზაქარაძის საცეკვაო ნომრები.



2015 წლის რჩ...



ეულები არიან. ერთ-ერთი, ვინც წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა, უშანგი მარგანიანი. იგი ევროპისა და მსოფლიოს მრავალჯგუფის ჩემპიონია ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის ჭიდაობა სამბოსა და ძიუდოში, მის ანგარიშზეა სამსუნის გრან-პრის მესამე ადგილი და ბაქოს გრან-სლეიმის მეორე ადგილი. არის 2015 წლის ევროპის ჩემპიონი კლუბებს შორის ძიუდოში, 2016 წლის რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მფლობელი. მისი მწვერთელია ავთანდილ თარგამაძე. იგი წლის საუკეთესო მწვერთელად დასახელდა. ახალგაზრდებს შორის საუკეთესო სპორტსმენი ივერი ჯულაყიძე მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების პრიზიორია, ასევე ევროპის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში).



ბაში. ივერის მწვერთელი ვეფხია სტურუაა, რომელიც წლის წარმატებულ მწვერთელად აღიარეს.

წლის საუკეთესო სპორტული გუნდი “ჯეო” გახდა. ფრენბურთულ გოგონათა გუნდი საქართველოს შვიდგზის ჩემპიონია. “ჯეოს” მწვერთელს, ნუგზარ მიქაძეს კი, 2015 წლის წარმატებული მწვერთელის წოდება მიენიჭა.

წლის სპორტსმენებად დასახელდა გიორგი ზაქარიაძე – ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ჭიდაობა ძიუდოში, ევროპის პრიზიორი დიდებში, საქართველოს ნაკრების წევრი ძიუდოში (მწვერთელი ავთანდილ თარგამაძე).

მსოფლიო თასის გათამაშებაში გამარჯვებული, 2012 წელს ტრაპზონში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი შერეულ ორთაბრძოლებში – ბრძოლა წესების გარეშე, ცოტნე შენგელაია წლის წარმატებული სპორტსმენია. წლის საუკეთესო სპორტსმენი გახდა ასევე, ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი ჭაბუკთა შორის და რიგის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის შმაგი თოდუა. ჯილდო გადაეცა აგრეთვე მის მწვერთელს, ბიძინა მელაშვილს.

პრინციპით ახალგაზრდებს შორის გიორგი მელაია. დაჯილდოვდა მწვერთელი გიორგი ვახტანგაძე – წლის წარმატებული მწვერთელი.

2015 წლის წარმატებულ სპორტსმენებად დასახელდნენ აგრეთვე გიორგი ლეჟავა – საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, რიგის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, საქართველოს პრიზიორი დიდებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში;

ელემი ბოლქვაძე – საქართველოს ჩემპიონი, რიგის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი, მსოფლიოს პრიზიორი ახალგაზრდებს შორის გუნდური პრინციპით თავისუფალ ჭიდაობაში.

გოგა გოგობერაშვილი – საქართველოს ჩემპიონი, საქართველოს პრიზიორი დიდებს შორის, სომხეთის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ჯილდო მსოფლიოში გახდა წლის საუკეთესო მწვერთელი მამუკა სტურუა.

დემურ მეგენიშვილი – საქართველოს ჩემპიონი, აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი გუნდური პრინციპით.

გასული წლის მოჭადრაკეებმაც ისახელეს თავი და კომისიის გადაწყვეტილებით წლის საუკეთესო სპორტსმენი გახდა საქართველოს ჩემპიონი, ჭადრაკში, საქართველოს სხვადასხვა ტურნირის გამარჯვებული, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე მარიამ გოთოშია. ასევე მისი მწვერთელი ბესარიონ ლეჟავა.

8 წლამდე ასაკის სპორტსმენებს შორის წარმატებულ სპორტსმენებად იმერეთის ჩემპიონი მოჭადრაკე გიორგი ელაშვილიც დასახელდა. წარმატებული მწვერთელად კი ნინო ჯვარციანიშვილი.

წლის წარმატებულ სპორტსმენებს შორისაა კარატისტი თამარ ბიბილიშვილი – ორგზის ევროპის ჩემპიონი და ოთხგზის პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონატის ორგზის პრიზიორი. 2014 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ქალი, შავი ქამრის პირველი დანი.

წარმატებული სპორტსმენის ტიტული ახალბედა კარატისტს, მარიამ გოგიაურსაც მიენიჭა. იგი 2015 წლის საქართველოს ჩემპიონია. წარმატებულ მწვერთელად აღიარეს მიხეილ ქანთარია – საერთაშორ-

# “უეკარდენმა” დარბაზი მონუსხა

ნათია ნაცვლიძე

*ამ სტენას არაერთხელ წაჭიდებია ქართული ცეკვების ხანძარი, არაერთხელ მონუსხულა დარბაზში მკვდომი მაყურებელი და ოფიციალური და ემოციური ვერ დაუმალავს ამჯერადაც მოგვარდენის ანსამბლს “უეკარდენის” წევრებმა თავიანთი შემოქმედებით. “უეკარდენის” სახელოვან წევრებს ბიოგრაფიის მრავალი სოლიდური პრიზი და ჯილდო ამშვენებს. ყველაზე დიდი ჯილდო კი ის აღფრთოვანება და სიყვარულია, საკუთარი ქალაქის სტენაზე გამოხატვის რომ გამოუხატეს სამტრედიელებმა. “უეკარდენის” უფროსმა და უმცროსმა თაობებმა მართლაც გვაფრინობინეს “როკით განფენილი ქართული გენიის” ბრწყინვალეობა და სიყვარული.*

სადამო საქველმოქმედო იყო. იგი ანსამბლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ალექო ბოზუას მხარდასაჭერად გაიმართა. ღონისძიება რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ ზურაბ ყურაშვილს, ანსამბლ “უეკარდენის” კონსულტანტს მიჰყავდა. მან არაერთხელის მადლობა გადაუხადა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს, ალექსანდრე ბოზუას, მთავარ ქორეოგრაფს, გენადი გრიგოლიას და ქორეოგრაფ დიანა ჩაჩუას. “ალექო მასწავლებლო, თქვენ ანსამბლი გეფერებთ თქვენ, რამდენი წელია, მაღლა გიჭირავთ ღირსების ბაიარაი, თქვენ არა მარტო “უეკარდენი” და სამტრედიის გეფერებთ, არამედ სახელმწიფო ანსამბლი, სადაც დიდხანს იმდევინეთ. სადაც გიმუშავებთ, ფოტოსა თუ თბილისში, ყველაზე წარჩინებული იყავით, დღეს 7 სახალხო არტისტი ზის დარბაზში და იზიარე

ბს ჩვენს საერთო სიხარულს”. – განაცხადა სადამოს წამყვანმა.

შესრულდა ცეკვები “ფარცა”, “ქართული”, “ხორუმი”, “განდაგანა”, ანსამბლის მე-4 კურსელებმა “შითულური” და “განდაგანი” მოგვხიბლეს. ასევე შესრულდა “ნარნარი”, “მხედრული”, “ქალთა ხევერული”, “აფხაზური”, “პიპური”. როგორც პატარების, ისე დიდების თაობამ შესანიშნავად შეასრულა ცეკვა “ყაზბეგური”.

“უეკარდენის” აღზრდილმა ახალგაზრდა მოცეკვებებმა, რომლებიც უკვე თავად არიან ცეკვის პედაგოგები, “ყაზბეგური” ისეთი ცეცხლითა და ემოციით იცეკვეს, ზურაბ ყურაშვილმა ქალაქის ხელმძღვანელობას მიმართა, ზომ არ დადგა დრო, ამ ბიჭებისაგან პროფესიონალური ანსამბლი შეიქმნასო.

სტენაზე იხმეს ალექო ბოზუას პირველი პედაგოგი, სოსო შენგელია, ქორეოგრაფი რამაზ ბარათელი, ჟორა კვეციანი. ისინი მიესალმნენ ანსამბლის წევრებს და ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს მათ. ასევე იხმეს სტენაზე სტუმრებიც გაიჭუმბურიდნენ, თემურ ფირცხალავა, არმან ლიპარტელიანი, გელა ანჩაბაძე. ავთანდილ ლომთაძე. “შინდა მოვეფერო ამ ბრწყინვალე ანსამბლს, მადლობა ამ შესანიშნავ ახალგაზრდებს”. – განაცხადა თემურ ფირცხალავამ.

სლაიდეებით იყო წარმოდგენილი “უეკარდენის” მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა. ანსამბლის არაერთი გასტროლი თურქეთში, ბულგარეთსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. წამყვანმა სტენაზე იხიო ანსამბლის მსახურთა შედეგები: რომან გრიგოლია, გიორგი ბოზუა. ანსამბლის წევრია ასევე გენადი გრიგოლიას ქალიშვილიც.

“თითქმის ყველა ქართული ხალხური ცეკვა წარმოვადგინეთ დღეს. ჩვენ არაერთი წარმატება გვაქვს, ბევრჯერ აგვიღია გრან-პრი. პირველი

ადგილიც ჩვენი კურსდამთავრებულები მიჰყვებიან ცეკვას. ზოგი ქორეოგრაფიულ სასწავლებელში აგრძელებს სწავლას, ბევრი რუსთავის სახელმწიფო ანსამბლში ცეკვავს. ვნახით, რას იტყვის მაყურებელი, ჩვენ მათთვის ვიხარავით და გვინდა, სწორად გადმოცენ ჩვენმა პატარებმა ყველა მოძრაობა, მთელი გული და სული ჩადონ თავიანთ ცეკვაში”. – გვითხრა კონცერტის წინ გენადი გრიგოლიამ.

ავთანდილ ლომთაძე საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, დავით უშვერიძის პრიზის მფლობელი და ოქროს მედალოსანი, ასევე ბრწყინვალეების ორდენის კავალერია. ის ამჟამად საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის იმერეთის-რაჭა-ლეჩხუმის-ქვემო სვანეთის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეა. კონცერტის ბოლოს თავისი შთაბეჭდილება ბატონმა ავთანდილმა გაგვიზიარა:

“დაარსების დღიდან ვიცნობ ამ ანსამბლს. პირველ კონცერტზე დავესწარი. ეს იყო მართლაც სასწაული ანსამბლი. დღითიდღე მისი წარმატება არ განულებულა, კიდევ მეტად იზრდება. ანსამბლმა რამდენიმე ცეკვა იცეკვა და ყველა ერთმანეთზე უკეთესი იყო. ეს იმიტომ, რომ ეს ცეკვები ხელმძღვანელებს შესანიშნავად აქვთ დადგენილი, იმ კუთხურ-



ბის ზედმიწევნით დაცვით, რა კუთხის ცეკვებსაც ცეკვავდნენ და ცეკვავდნენ უნაკლოდ და დახვეწილი პროფესიონალიზმით. მადლობა ამ ანსამბლის ხელმძღვანელებს, ყველა იმ ადამიანს, ვინც “უეკარდენს” გვერდით უდგას და მთელ სამტრედიას”.

დაასრულა სადამო წამყვანმა. კონცერტის ბოლოს შეკრებილთ საქართველოს სახალხო არტისტი სულიკო იოსელიანი მიესალმა და შემოქმედებითი წარმატებები უსურვა. ზურაბის ქარი გვისურვებია “უეკარდენისთვის!” კიდევ უფრო შორს გაეტანო ჩვენი პატარა ქალაქის სახელი!



ისო ოსტატი კიოეუშინკა კარატეში. შავი ქამრის მეოთხე დანის მფლობელი. B თანრიგის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯე კიოეუშინკა კარატეში. ევროპის ჩემპიონატის ორჯონ პრიზიორი კონტაქტურ კარატეში ვეტერანთა შორის, “საქართველოს კიოეუშინკა კარატეს კლუბების კავშირის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი. საქართველოს წარმომადგენელი საერთაშორისო ორგანიზაციაში “სრულად იაპონიის კიოეუშინის კავშირი”.

წარმატებული სპორტსმენები გახდნენ კალათბურთელები, ვიქტორია გეგეშიძე და ზაურ ჯანელიძე. ისინი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობდნენ “თბილისი 2015” წლის ოლიმპიურ თამაშებში. დაჯილდოვდა მწვერთელი მანანა ტყეშელაშვილი.

წინასწარაღწერილი ღონისძიებები თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში ტარდება, მაგრამ სამტრედიის გამოირჩეულია, რადგან აქ ღვაწლმოსილ ადამიანებს ვაფასებთ. მათი ცხოვრება ძალიან კარგი მაგალითია მომავალი თაობებისთვის, როგორ იშრომონ, როგორ გააიარო გზა აქამდე.”

– აღნიშნა ბატონმა გივი ჭიჭინაძემ.

2016 წელს სიყვით უსურვა სამტრედიელებს პარლამენტარმა გიორგი კახიანიძემ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას კი ღონისძიება შეუქტო.

“ისეთი თაობა მოდის 2016-ში წარმატებულია რაიცხვე კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვენი მხრივ ყველაფერს გააკეთებთ ხელი შევეუწყობთ მათ”. – ამბობს ბატონი ვალერიანე ფიცხვერია.

მსგავსი ღონისძიებები მეტი სტუმრების მიმცემი რომ იქნება ახალგაზრდებისთვის, ამის პროგნოზს, ჯუმაბერ ლეღაძესაც სჯერა. “დღეს ბევრი მათგანის შესახებაც შევიტყვეო. ისინი შრომობენ, იღვწიან, რათა თავიანთ ქვეყანას, სამშობლოს, ქალაქს,

ოჯახს გამოადგინონ. ძალიან მომწონს აქაურობა და მიხარია აქ რომ ვარ.” – გაგვიზიარა შთაბეჭდილებები მან.

სტენიდან კი მადლობას უხდებიან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ნომინაციაში გამარჯვებულები. მაღლიერება ჩვენთან საუბარშიც გამოხატეს ახალგაზრდა სპორტსმენებმა ირინე ტყეშელაშვილმა და იმედა ბოლქვაძემ.

ქალბატონი ლიზა კრავიცივილი იმ სიტუაციების შესახებ გვიყვება, რის წინაშეც კომისია დადგა: “შენს წინ უნიჭიერესი ადამიანები არიან, უმეტესად საკუთარი სინდისით უნდა გადაწყვიტო, ვის მიანიჭო უპირატესობა. მართლაც ღირსეულთა შორის ღირსეულები შევარჩიეთ. დასაჯილდოვებელი კიდევ ბევრი დარჩა. ბოდიშს ვი-



ხდი მათ წინაშე. არ არსებობს საქმე, რომელსაც ხარვეზი არ ახლდეს, მომავალში კიდევ უფრო დახვეწილი თვალსაზრისით საქმიანობას. ეს პირველია ჩვენი მუნიციპალიტეტში და ვფიქრობ, სადამო ძალიან ღვაწლად შედგა.”

ქალბატონმა ნატალია მანჯგალა-

ძემ მადლობა გადაუხადა ღონისძიებაში მონაწილეებს, სასიამოვნო იყო მათთვის გუბერნატორის შეფასება, იმერეთის რეგიონში ყველაზე კარგი ღონისძიება სამტრედიისში რომ ჩატარდა. დასასრულს უკეთესი დღის იმედად აუღერდა “ალილო”.









# ღვთის ხრეული

სამტრედიამო ასაკით პატარა, მაგრამ ლამაზი, გონიერი, თბილი, ტკბილად მოლულუნე ბიჭი დადის. დადის და დააქვს ერთმანეთთან შეხამებული დიდი კაცობა და სიყმაწვილე. სცენაზე მდგარი დიდი კაცია, თავდაჯერებული მანერით და საოცრად მომხიბლავი ხმით, სკოლაში კი – ალბათ, ანცი, სიცოცხლით საესე, მაგრამ ხშირად სერიოზული. ეს ყმაწვილი ვალერი მარტინოვი, სამტრედიის დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლის მე-4 კლასის და მე-4 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე.

ბედის ირონიად შეიძლება ჩაითვალოს ბავშვობიდან მისი მარტოხელა დედანე მიჯაჭვულობა. კიდევ უარესი ის იყო, რომ გასული წლის სექტემბერში მას ახალგაზრდა დედაც გარდაეცვალა და დარჩა ბებოს (დედის დედა) აპარა. ეს არ იყო მარტო მათი ოჯახის ტკივილი, ეს იყო ყველას ტკივილი, ვინც ურ-

თერთობდა ვალერისთან. ორივე სკოლის მასწავლებლების, მოსწავლეების, მათი მშობლების და ასევე მუსიკის მოყვარულების, ვისაც ერთხელ მაინც მოუხმენია ვალერის სიმღერა. მეც ბოლო კატეგორიას მივეკუთვნები. ეს იყო 4 წლის წინ, როდესაც მომეცა საშუალება, მომესმინა ამ მუსიკალურ სკოლაში ჩატარებული კონცერტი. კონცერტის შემდეგ ქუჩაში გამოსულს მთელი საქართველოს გასაგონად მინდობა დამეფიქრა: “შე ბედნიერი ვარ, რომ ვარ სამტრედიელი, რომლის სამუსიკო სკოლა ასეთ საოცარ ახალგაზრდობას უზრდის საქართველოს”. ეს სულიერი საიმოვნება რამდენიმე დღეს გამეფა. მეგონა, რომ მიწაზე კი არ დავდიოდი, არამედ, ზეცაში საოცრად პატარა მუსიკოსთა მიერ შესრულებულ მუსიკის პანგებთან ერთად დავფრინავდი. და ამ დროიდან მოყოლებული ველოდი ყოველ მათ გამოსვლას მუსიკალურ სკოლასა თუ გამგეო-



ბის ხელოვანთა დარბაზში, სადაც სასწავლო წლის შემაჯამებელ კონცერტზე ჩვენი მუსიკალური სკოლის საუკეთესო შემსრულებლები ქუთაისის სახელმწიფო ორესტრადთან ერთად მონაწილეობდნენ. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები დაჯილდოებულნი არიან სხვადასხვა კონკურსებში ოქროსა და ვერცხლის მე-

ლებით, გრან-პრით, საპატიო დიპლომებით, სიგელებითა და პრემიებით. ეს ყველაფერი კი მუსიკალური სკოლის დირექტორის, ქალბატონ ირმა შანიძის, ამავე სკოლის ადგილობრივი თუ ქუთაისიდან მოწვეული, ძალზე ნიჭიერი და საქმის მოყვარული მასწავლებლების დაუღალავი შრომის შედეგია, რომელთა სახელოსო ანაზღაურება მიზნურულია და რომელთაც საოცრად არასახარბიელო პირობებში უწევს მუშაობა. დღესდღეობით აქ სიტუაცია გაუმჯობესებულია, მაგრამ ბევრი რამ კიდევ გასაკეთებელია.

პირველი დიდი კონცერტის შემდეგ მეგონა, რომ აქ ამაზე უკეთესს ვერაფერს მოვისმენდი. შევცდი! ყოველი წლის ბოლო კონცერტი ბევრად უკეთესია წინაზე, დაბ ისეთი, რომელსაც მიღებული საიმოვნებით შეუძლია, ცრემლები გაღვრივინოს! სწორედ ასეთ ნორმად დარჩა ჩემს მეხსიერებაში ვალერი მარტინოვის და მისი ვოკალის მასწავლებლის, ბატონ რამაზ კუბლაშვილის მიერ საუცხოოდ შესრულებული საოპერო არ-

იქნებ ვინმეს კითხვაც გაუჩნდეს: რატომ მარტო ვალერი? განა სხვები კარგები არ იყვნენ? დიან, ყველანი ძალიან კარგები იყვნენ, მაგრამ ვალერი იმიტომ გამორჩეულად, რომ უფალმა მას სხვათაგან გამორჩეული ბედი არეუნა, თანდაყოლილი ტკივილითა და დიდი მოძაველად მოლოდინით. თუმცა, ის ძალიან უყვართ და ყველაფერს გააკეთებენ მისი ბედნიერი მომავლისათვის. დაბ, მას კეთილგონიერ ადამიანთა შეილობილი ჰქვია და თუ ღვთის ნება იქნება, შეძლებენ მის დიდ მუსიკალურ გზაზე გაყვანას.

და ბოლოს, სახელოვნებო სკოლის დირექტორ ქალბატონ ირმა შანიძეს, მის პედაგოგიურ კოლექტივს და მოსწავლეებს ვულოცავ ახალ წელს, ვუსურვებ მხნობას, დღეგრძელობას, ღვთის წყალობას, როგორც პირად ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში!

**მანუშა კახაიძე**  
**კლასიკო**

## მადლობა ლამაზი გაკვეთილისთვის...

მუსიკის გაკვეთილმა, რომელიც №1 საჯარო სკოლის მე-4 კლასში პედაგოგმა სოფიო ახოზაძემ ჩაატარა, გულგრილი არცერთი დამსწრე არ დატოვა. იგი იზრუნავდა პაიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიეძღვნა.

სიმღერისათვის საჭირო წესების გაცნობისა და აღმაკვირვებელი მიმართულებით გამღერების შემდეგ, შეასრულეს რიტმულ-ინტონაციური საგარეჯიშოები.

სამუსიკო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლე დემეტრე ნიკურაძემ შეასრულა პაიანის ნაწარმოები. მოსწავლეებმა მოაწვეეს შესანიშნავი პრეზენტაცია პაიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, გამოავლინეს ამ კომპოზიტორის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის ბრწყინვალე ცოდნა.

პედაგოგ ქეთევან რონგაძეს არაერთხელ მოუწევია სიურპრიზი თავისი მოსწავლეებისათვის და სიმღერით გაულამაზებია ბევრი ღონისძიება. ამჯერად მან ბენარდ ფლისის “იაუნანა” შეასრულა. მუსიკის პედაგოგმა ქალბატონი ქეთევანის დახმარებით ეს უნახესი, მელოდია გაკვეთილზე შეასრულა პატარებს. მოსწავლეებმა სათითაოდ განიხილეს და დაახასიათეს სიმღერის ორესტრის საკრავთა შემადგენლობა.

პედაგოგის მიერ საინტერესოდ დაგეგმილი გაკვეთილის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილი თამაში “დირიჟორობანა” იყო. შესრულდა პაიანის 103-ე სიმღერის ნაწილები. საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორესტრადამ დროებით პირველი სკოლის მეოთხეკლასელთა ოთახში დაიდო ბინა და მათი ეს ბავშვური მცდელობა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ვინ იცის, ამ პატარებიდან რამდენი დაუკავშირებს თავის მომავალს მუსიკის საოცარ სამყაროს...

გაკვეთილის ბოლოს სკოლის დირექტორმა ხათუნა ფალიაძემ მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს და პედაგოგს და განაცხადა: “შე ბედნიერი ვარ, რომ გვყავს სოფიო მასწავლებელი, ხშირად დამაბრუნებელი თქვენს გაკვეთილებზე, მადლობა ამ გაკვეთილისთვის!”

**ნათია ნავალითაძე**



## სახსოვნოდ ავტორიბული ქართული ჰანგები

სრულიად საქართველოს და ჩვენს საყვარელ სამტრედიას განსაკუთრებულად მიულოცეს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორულმა ანსამბლმა “ალილომ”, ინსტრუმენტალურმა ანსამბლმა “ჩანგმა” და “დილილემ” (ხელმძღვანელები მადონა კობრიძე, მერი ტკეცვიანი). ფოლკლორული განყოფილება ყოველთვის საინტერესო და ლამაზ საახალწლო საღამოებზე გვეპატივება.

ეს კონცერტიც ქართული მადლით იყო გასხივონებული, ეროვნული სულით იყო ნასაზრდოები. ქართული სიმღერას ქართული პატრიოტული ლექსი გაუძღვა წინ. “ვერცერთ სხვა ერად ვერ გაუჩნდებოდი, ვართ ოქროს თარგზე ღმრთისგან მოჭრილი, გვეწავდნენ, ფერფლისგან სხივად ვდგებოდით, გვჩვენდნენ, მაინც ვერ დაგვიმორჩილეს”. ამ შემართებამ სიმღერების შესრულებაშიც იჩინა თავი. “მუნა წინწილებს”, “ალილო”... მოსამზადებელი ჯგუფის ონაგრებმა ამ სიმღერების შემდეგ “ალილოს” უცროს თაობას და “ჩანგს” დაუთმეს სცენა, რომელთაც შეასრულეს: “იმ მთაზედა”, “აჭარული შირები”, “შეგარდენი”. “ჩანგი” “ნარნარი” და “თოვლის ფანტელი” წარსდგა მსმენელის წინაშე. ფოლკლორული განყოფილების მოსამზადებელი ჯგუფის ონაგრებმა შესანიშნავად შეასრულეს “ბახტრიონი”, “ვაკაცო მთაში გაზრდილი”, “კახური შირები”, “კირია ლესა”.

სალამოს თავისებური ეშვი შექმამა გოგონათა ანსამბლმა “დილილემ”. ამ საერთო ცეკვა-მხიარულებას თოვლის ბაბუაც შემოუერთდა, ნუგზარი ამოალაგა ხურჯინიდან, საახალწლო კეთილი სურვილები ირგვლივ ფანტელავით მიმოაფრქვია, ბედნიერი ხვალისდელი საქართველო დაულოცა პატარებს და მომავალ წლამდე დაემშვიდობა.

“რაჭულით” “ცანგალა და გოგონათი” “სვანურითა” და “დაისით” გააცილეს პატარებმა კეთილი ბაბუა. კონცერტის ფინალური აკორდი გაუხუნარი ქართული მრავალკემიერი იყო... მადლობა ახალგაზრდობის სახლს (დირექტორი ტატა გოგუაძე) ამ ულამაზესი საახალწლო ღონისძიებისათვის.

**ნათია ნავალითაძე**



## ახალმა წელმა მათი სამყარო უჩვეულოდ გააფერადა

მათი ბავშვური ოცნებები ნაძვის ხის სათამაშოებით ბრწყინავს. ზოგი მათგანი მგლის ფორმაშია გამოწყობილი, ბევრი – მელაყუდასი, ვინ ფიფქაა, ვინ – ჯუჯა, №1 საჯარო სკოლის პირველკლასელთა საახალწლო კარნავალმა ქართულთან ერთად უცხოური მულტფილმების და ზღაპრების პერსონაჟებსაც მოუხმო, მამა და დათვიც აქ არიან, წუნცა და წრუწუნაც. ამ ბავშვების გულები ანკარა წყაროსავით სუფთაა, ნამდვილ მელაყუდებს, სამომავლოდ რომ შეზღვედნენ, ჩვენი ხალხური სიბრძნის შესწავლითა და კარგად გააზრებით უნდა გაუმჯავდნენ, ამიტომაც საოცარი პათოსით იმეორებენ ყველა კეთილი პერსონაჟების სიტყვებს, გმობენ ბოროტებას და მასზე სიკეთის გამარჯვებას დღესასწაულებზე.

ეს ხომ ახალი წელია, სიხარულის, სიყვითის, იმედის, ოცნებების ახდენის და აფერადების დღესასწაული! ნერვიულობს კლასის დამრიგებელი ნინელი შანიძე, პირველკლასელები რამდენად კარგად მოირგებენ როლებს, თუმცა, სანერვიულო არაფერია. შესანიშნავი სანახაობა აჩუქეს პატარებმა დარბაზში მსხდომთ. ჭეშმარიტი ქართული ლექსი და ცეცხლოვანი ქართული ცეკვა-სიმღერა ერთობს შეურწყვეს. პედაგოგის და მოსწავლეების ნამუშევარი მოიწონა სკოლის დირექტორმა ხათუნა ფალიაძემ და მათ მადლობა გადაუხადა საინტერესო და ლამაზი სანახაობის მოწყობისათვის, განსაკუთრებული მადლიერება პატარებმა მოწვეული თოვლის ბაბუსადმი გამოხატეს, რომელმაც თითოეული მათგანი ტკბილეულობით დაასაწყურა.

**ნათია ნავალითაძე**



### მაია ჩიბუხანიძე \_ 55

უძველესი დროიდან თამაშობს ჭადრავს კაცობრიობა. ქართველი ქალის სიბრძნეს ძველად იმის მიხედვით აფასებდნენ, თუ როგორ ფლობდა იგი ჭადრავს. მრავალი ცნობა არსებობს ისტორიულ ანალებში, სადაც აღწერილია, რომ უკვდავ "ვეფხისტყაოსანთან" ერთად, დიდგვაროვნები მზითვად ასულებს ძვირფასი თევზებით მოიჭვილ ჭადრავსაც თან ატანდნენ, ამით კი პატარძლისა და მისი ოჯახის კულტურულ წარმომავლობას უსვამდნენ ზღვას.

მსოფლიო გააკცეს მეოცე საუკუნეში ჭადრავის საოცარი თამაში ქართველმა ქალებმა. მსოფლიო ჩემპიონობა დაისაკუთრეს, დაიმსეს, გაქართულეს ნონამ, მაიამ... წერდნენ ქართველი ქალბატონების სპორტული მიღწევებით აღფრთოვანებული და გოცუბული ჟურნალისტები, მაშინ როცა სრულიად ახალგაზრდა მაია ჩიბუხანიძემ მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი დაიდა თავს.

ერთ წერილში შეუძლებელია მაია ჩიბუხანიძის სპორტულ წარმატებებზე ისაუბრო ფოთისმომცველად, არც იმ საყოველთაო სიხარულის აღწერას შეეცდებით, ყოველი მისი გამარჯვებისას რომ გვეუფლებოდა ქართველებს.

ფოთში, რომელიც ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტის, ბატონ რომან ბეჭაიას მიერ 1985 წლის მაისშია გადაღებული, აღბეჭდილია მსოფლიო ჩემპიონის მაია ჩიბუხანიძის სტუმრობა სამტრედიასში, როცა ჩვენი ქალაქი ტიტულოვან საჭადრაკო ჩემპიონატს მასპინძლობდა. ამ დღეებში ქალბატონი მაია იუბილარია, მას 55 წელი შეუსრულდა.

იუბილეს უელოცავთ სახელოვან სპორტსმენს.

ლევან ბაგრაძე



## მახიჯარი

შოთა ჰაბაშა

**დრო დროს აბრუნებს. ყველა მომავალი ოდესღაც აწმყოდ ქცეულა, აწმყო – წარსულად. წარსული ხომ კვლავ მომავალია. ნაცნობ-უცნობი მოწიწებით ეს-აღიშობდა ქუჩაში მიმავალ ხან-შიშესულ, თუმცა ჩვეული დახვეწილობით თვალშისაცემ, მამაკაცს. თანაქალაქელები დღემდე სიამოვნებით, პატივისცემით იგონებენ ღვაწლმოსილ იურისტს, ბატონ ვიორგი (ჟორა) გაბეჩავას, რომლის "საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი" ბეგის ახსოვს.**

ჯერ კიდევ ახალგაზრდად მიღწეულ ქართულ უნივერსიტეტში მიუღია უძაღლესი იურიდიული განათლება. დიდიან სწავლის დასრულებისა პროფესიულმა აღმასვლამ უმეგზურა ბატონ ჟორას. სხვადასხვა დროს მუშაობდა აბაშის რაიონის სახალხო მოსამართლედ, ქალაქ ჭიათურის პროკურორის მოადგილედ და სამტრედიის რაიონის პროკურორად. 34 წლის განმავლობაში იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი, სამტრედიის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე.

არაერთი ჯილდოსა და სივლის მიუხედავად, უმთავრესი დამსახურება ის საერთო სიყვარული გახლდათ, დღემდე რომ მოჰყვება მისი სახელის ხსენებას.

იურისტის პროფესია, რამდენად სასურველიც უნდა იყოს იგი, დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად, ცხადია, გულისწირვასაც მრავლად აგემებს, ვიტყვი ჩვენში ფუნქციონირებულ სიტყვით, ვეჭიხს. როგორც იგონებენ, გაგვიჭირდებოდათ მოძღვრავი



ელი თავისი ცხოვრების მანძილზე ჟორა გაბეჩავას არასოდეს გამოუყენებია ხელის მიძცემი გარემოებები სათავისოდ. იგი მუდამ პირუთენელი იყო, მართალი საზოგადოებისა და, უპირველესად, საკუთარი თავის წინაშე. სასამართლო პროცესებზე ბატონი ვი-



ორგის გამოსვლები დიდი სკოლა იყო დამსწრე იურისტებისათვის. ამგვარი შრომა-ამაგით მოაპოვა მან ურყევი ავტორიტეტი, ისეთი, როგორც ჩვენი პროფესიის ადამიანებში ერთობ იშვიათია". – გვითხრა ბატონმა ოთარმა.

"საოცრად უბრალო ადამიანი იყო. შრომა, ოჯახში ფუსფუსი უყვარდა, მოცილილს იშვიათად ნახავდით. აღდგომა რომ გათენდებოდა, გვეტყოდა შეილიშვილებს, უკვე ვიყავი სასაფლაოზე, მშობლების, წინაპრების საფლაოზე წითელი კვერცხი, პას-ქა როგორ არ დამელო. ვერ ვხვდებოდი მაშინ, თუ რატომ დადიოდა ბაბუა გათენებამდე სასაფლაოზე. მერე კი ყველაფერი ნათელი გახდა, დრო იყო სხვაგვარი.

რძლებზე – ჩემი ქალიშვილები, ამბობდა. ბებიას გარდაცვალება ძლიერ განიცადა. დიდხანს არც უცხოურია შემდეგ..." – იგონებს ბატონი ჟორას შეილიშვილი, ჩვენი კოლეგა, ლევან გაბეჩავა.

1992 წელს 81 წლისა გარდაიცვალა ბატონი ვიორგი (ჟორა) გაბეჩავა. შემთხვევითი არაა სიტყვები წერილის დასაწყისში: "წარსული ხომ კვლავ მომავალია!"

შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები – მრავალრიცხოვანი მონაგარი სათუთად ინახავს მართალი კაცის ხსოვნას. კაცისა, ამ დღეებში 105 წლისა რომ გახდებოდა.

## ახალი ლექსები

\*\*\*  
ცას შეაფრინდა თითქოს მამალი,  
ცეცხლი რომ უკრთის ბიბილოებში,  
და მზე ანთო თავის ყიფინით  
დანაკვერცხლებულ ზეცის თონეში.  
აი, გათენდა კადეც: ვარსკვლავებს  
სიზმრები მიაქვთ მთვარის ზღადაით  
და მზით ორსული ღრუბელს მუცელი  
შეუხვევია ცისარტყელათი...

\*\*\*  
ჩასმინებიათ შეილიშვილებს და  
ბებია ზღაპრის ამბობს თავისთვის...  
ალბათ გაპარსეს ცხვრები და მთვარე  
ღრუბლების სეიტერს იქსოვს ზამთრისთვის.

\*\*\*  
გაზაფხული იზრდება და ფერხორცდება,  
ტანზე ნელ-ნელა უმოკლდება ღამის კაბები,  
და ყოველ დღით ცას მარცვლებით მიყრილ ვარსკვლავებს  
ლობებს შემდგარი უკეჩავენ თითქოს მამლები.

\*\*\*  
თოვს ისე ნელა, და ასე თოვლით  
წაშლილია იფიქრებ მთები,  
და ბებერ მთვარეს და მელორტ მთვარეს,  
უცვივებოდეს თითქოსდა თები.

**წამიას**  
ქართული წვიმა მაინც სულ სხვაა,  
მოდის რაღაცით სულ გულ ნატკენი,  
ათი წვიმიდან ერთი ცრემლია,  
აქ ჩვენი ციდან გადმონადენი.  
გაღმრუვლია მტერს მამის მხრები,  
დაღვრილი ცრემლი ცივ დღეებს მიქსოვს,  
მოსულა ურცხვად ვიღაც უმწერი  
და დედაჩემის ცალ ბუმუს მიწოვს...

**მომხროს სიზმარი**  
მე მიმატოვა თითქოს სიყვდილმა  
და დღე გამეხსნა თითქოს ზეცაზე  
ველარ გაწვირე თავი ერისთვის,  
ვერ ჩავეშენე ციხეს ყელამდე.  
ვერ მოეუნაზე ბოლო ვერაფრით  
ტკივილით სიბერედ ოდით ნაგროვებს  
ოპ, მიმატოვა ისე სიყვდილმა  
როგორც დედა-შეილს ვითმიატოვებს!

ბერილი თოვნიანი

## ჯამბულ შენგელიას გახსენება

ისევ მოვიდა 9 იანვარი – შენი დაბადების დღე, რომელსაც უშენოდ უნდა შევხვდეთ, ჩემო ერთადერთო და საფიცარო ძმო ჯამბულ. თურმე რა ძნელი ყოფილა საკუთარ ძმზე მოგონების დაწერა, მაგრამ ბედმა ასე მარგუნა. შენ ხომ შენი დაბადების დღის აღნიშვნა ძალიან გიხაროდა და სიხარულით ემზადებოდი ამ დღისთვის, მაგრამ მოულოდნელმა სიყვდილმა არ დაგაცალა და უეცრად გამოგვეცალა ხელიდან. შეიმი გლოვად გვექცა.

13 ლექსები ჩვენთვის მისი დაცემას ჰგავდა, როდესაც მოულოდნელად გაჩერდა შენი გულის ძგერა და ყველანი სასოწარკვეთილებამ ჩაგვაგლო. ან არა და რამდენი სასიკეთო საქმის გაკეთება შეგეძლო შენი გენიალური ნიჭის პატრონს, მაგრამ, ვაი, რომ არ დავცავდა.



ძმო ჯამბულ, ახლა ისლა დაგვრჩენია, შენს დაბადების დღეზე მოვიდეთ შენს საფლავზე და მოგილოცოთ შეუსრულებელი 66 წელი. დაგინთოთ უამრავი სანთელი, მოგიტანოთ ყვავილები და ცრემლიანი თვალებით ღმერთს შევევძლოთ, რომ ნათელში გვიმყოფოს შენი სული.

ჩემო მოუშუშებელი ტკივილო, ძმო ჯამბულ, იცოდე, რომ შენ ჩემი სულის ნაწილი იყავი და შენი უდროოდ წასვლით, ისიც ამომაცალე. იცოდე, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ნათელში იყავი!

მანო ლავრო ნაძობა

## ამირან პაპავას მონატრება

წლები ვერაფერს აკლებენ ხსოვნას და მონატრებას მზრუნველი, კეთილი კაცისა. დიდხანს ემსხოვრება მის დიდი ოჯახს ადამიანი, რომელიც უყვარდა და ეძიებოდა არა მარტო მისიანებს, არამედ ყველას, ვინც მის გარშემო ტრიალებდა. თმით-ერთ მოხუცს ყველა ერთნაირად ეძახდა – ბაბუ! ჩვენ კი, მის შთამომავლებს გვეძამევა, რომ იგი ყველაზე მეტად ჩვენი ბაბუ იყო!



კაკაპაპა

